დამატებით 20 ფაქტი

რომელიც შეიძლება არ იცოდე ენათა სამყაროს შესახებ

ფრანგულად კარტოფილი არის "pomme de terre", რაც ნიშნავს "მიწის ვაშლს", ხოლო **იტალიურად** პომიდორი არის "pomodoro", რაც ნიშნავს "ოქროს ვაშლს" (pomo + d'oro).

გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი დამწერლობის არმქონე ენები

მსოფლიოში ენებისა და დიალექტების უმრავლესობას დამწერლობა არ აქვს. მექსიკაში ასეთი 100-ზე მეტი მკვიდრი ენა და დიალექტია, ხოლო ინდოეთში – 1000-ზე მეტი. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მსოფლიოს ენებიდან 3000 უკვე გაქრობის პირასაა, რადგან მათ ცოტა ბავშვი სწავლობს.

დღესდღეობით გამოიყენება **ანბანის რვა ძირითადი ჯგუფი:**

არაბული, ებრაული/არამეული, სომხური, ბრაჰმული, კირილიცა, ქართული, ბერძნული, ლათინური.

Niamh, Aoife, Fionnuala, Saoirse
ირლანდიური სახელებია

შეგიძლიათ მათი სწორად წარმოთქმა? ბმულზე edl.ecml.at/irishnames მოისმენთ, თუ როგორ გამოითქმის ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი ირლანდიური სახელი.

ფრანგულ ენაში არსებობს სიტყვაში „o“ ბგერის ჩაწერის 16 გზა: au, aux, aud, auds, aut, auts, eau, eaux, o, ô, ods, op, ops, os, ot, ots.

Οο Ωω

ბერძნულ ანბანში ასოები ომიკრონი და ომეგა "დაკავშირებულია": პირველი სიტყვასიტყვით ნიშნავს "პატარა ო"-ს (o mikron), ხოლო უკანასკნელი - "დიდ ო"-ს (o mega).

ესპანური სიტყვა ზეთისხილი (aceituna) ფაქტობრივად მომდინარეობს არაბული სიტყვიდან "zaytun" (زيتون). აღნიშნული საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ ორი კულტურის კავშირზე, რადგან ორივე სიტყვა მიემართება როგორც თავად ზეთისხილს, ასევე მისგან გამოხდილ ზეთსაც.

ევროპის გარეთ ორი ქვეყანა, სადაც **გერმანული** ყველაზე მეტი ადამიანისთვისაა მშობლიური ენა, არის ბრაზილია 🇧🇷 და ამერიკის შეერთებული შტატები 🇺🇸.

ყველაზე დამაბნეველი ფრინველი მსოფლიოში

მას ბერძნულად ჰქვია "ფრანგული ქათამი", პორტუგალიურად - "პერუ", თურქულად - "ჰინდი" და ინგლისურად - "თურქი".

ცრუ მეგობრები

ორ ენაში ზოგჯერ გვხდება ისეთი სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც ჰგავს ერთმანეთს, თუმცა სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, იტალიური "squisito" ნიშნავს გემრიელს, ხოლო პორტუგალიური "esquisito" - უცნაურს.

ინდის დამწერლობა
არის უძველესი დამწერლობა, რომელიც ჯერ არ გაუშიფრავთ. იგი გამოიყენებოდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წელს დღევანდელ პაკისტანში, ინდის ხეობაში. იქნებ თქვენ ხართ ის, ვინც წაიკითხავს მას და გახდება გაშიფვრის გმირი!

გამარჯობა და ნახვამდის

არაფორმალური პოლონური მისალმება „cześć“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც „გამარჯობის“, ისე სიტყვის „ნახვამდის“ ფუნქციით. იგივე ეხება იტალიურ „ciao“-ს, ფრანგულ „salut“-სა და ავსტრიულ „servus“-ს.

עִבְרִית

ებრაული კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებულად გაცოცხლებული ენაა. 15 საუკუნის განმავლობაში მის აღორძინებამდე (მე-19 საუკუნე) იგი არ გამოიყენებოდა როგორც ყოველდღიური სასაუბრო და მშობლიური ენა. ამჟამად ებრაულად 9 მილიონზე მეტი ადამიანი საუბრობს.

ბევრ ენას აქვს უთარგმნელი სიტყვების გარკვეული რაოდენობა, მაგ. **შვედური** *Gökotta* (განთიადზე გაღვიძება, რათა გახვიდე და ჩიტების ჭიკჭიკს მოუსმინო), **იტალიური** *culaccino* (მაგიდაზე სველი ჭიქის მიერ დატოვებული კვალი) ან **ჰოლანდიური** *niksen* (უსაქმოდ ჯდომა).

გერმანულში მრავალი სიტყვა იქმნება ორი სიტყვის გაერთიანებით: Vorfreude (წინ + ბედნიერება), Handschuh (ხელი + ფეხსაცმელი), Zweisamkeit (ორი + მარტოობა), Drahtesel (მავთული + ვირი), Luftschloss (ჰაერი + ციხესიმაგრე), Lampenfieber (ნათურები + ცხელება), Ohrwurm (ყური + ჭია), Schadenfreude (დაზიანება + სიხარული). შეგიძლიათ დაადგინოთ მათი ზუსტი მნიშვნელობა?

გამარჯობა

ქართულ ენაში სიტყვები გამოითქმის ზუსტად ისე, როგორც იწერება, რადგან თითოეულ ასოს აქვს ერთადერთი წარმოთქმა და უმეტეს შემთხვევაში მახვილი არის სიტყვის პირველ მარცვალზე. ეს უცხოელებს შედარებით უადვილებს ენის შესწავლას. საკმარისია, აითვისო ასოები!

წ ა რ მ ა ტ ე ბ ე ბ ი !

სიტყვა **იანვარი** შეიძლება მომდინარეობდეს პორტალების, კარიბჭეებისა და შესასვლელების რომაულ ღმერთ იანუსიდან. სიტყვები „janitor“ (ინგლისურად „კარისკაცი“) და „janela“ (პორტუგალიურად „ფანჯარა“) მსგავსი წარმოშობისაა.

ისლანდიელები საშობაოდ იმდენ წიგნს ყიდულობენ საჩუქრად, რომ მათ აქვთ სიტყვა „საშობაო წიგნის წყალდიდობა“ (jólabókaflóð).

SCRABBLE არის სიტყვების ყველა თამაშის მეფე! ის გამოიგონეს 1931 წელს და ამჟამად არსებობს **38 სხვადასხვა ენაზე, მათ შორის** ფარერულსა და ლათინურში. საუკეთესო მოთამაშეები მსოფლიო ჩემპიონატებშიც კი ასპარეზობენ!

ოდესმე გსმენიათ **არაგონულის** შესახებ? ოდესღაც ფართოდ გავრცელებული არაგონული ენა, ახლა ჩრდილოეთ ესპანეთის დაფარული მარგალიტია. დაახლოებით 11.000-მდე მოსაუბრით, ეს ენა არის ესპანურის მონათესავე ენა, რომელსაც აქვს თავისი უნიკალური ლექსიკა და ჟღერადობა.

ენების ევროპული დღე
26 სექტემბერი

EUROPEAN CENTRE FOR MODERN LANGUAGES
CENTRE POUR LES LANGUES VIVANTES
COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

WWW.COE.INT/EDL #COEEDL

2024-KA